საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №214/04
2023 წლის 4 აგვისტო

ქ. თბილისი

„TIBR ინდექსების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 12 ოქტომბრის №146/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„TIBR ინდექსების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 12 ოქტომბრის №146/04 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 13/10/2021; ს/კ: 220010010.18.011.016595) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ბრძანებით დამტკიცებული „TIBR ინდექსების გაანგარიშების წესის“:

1. პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. TIBR ინდექსების გაანგარიშების წესი (შემდგომში – წესი) აღწერს TIBR ინდექსების გაანგარიშებაში მონაწილე კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებს (შემდგომში - ბანკები) შორის ფულად ბაზარზე დადებული გარიგებების კრიტერიუმებს, ასევე TIBR ინდექსების გაანგარიშების, გამოქვეყნებისა და სხვა პროცედურულ საკითხებს.“.

2. პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. TIBR განაკვეთი (TIBR) არის საქართველოში მოქმედ ბანკებს შორის (შემდგომში – ბანკთაშორისი) ეროვნული ვალუტით გაცემული ერთდღიანი არაუზრუნველყოფილი სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი.“.

3. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. TIBR განაკვეთის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ბანკთაშორისი ე.წ. სადეპოზიტო სვოპ გარიგებები (ორ მხარეს შორის ორი დეპოზიტის ურთიერთგაცვლა ორ ვალუტაში). სადეპოზიტო სვოპ გარიგების დაზუსტების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში – ეროვნული ბანკი) ბანკის ხაზინის სამსახურიდან გამოითხოვს დამატებით ინფორმაციას.“.

4. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პირველი სარეზერვო გეგმის შესაბამისად, TIBR განაკვეთი გაიანგარიშება ბლუმბერგის სისტემაში ბანკების მიერ გამოქვეყნებული ბანკთაშორისი სესხების BID/ASK საპროცენტო განაკვეთებიდან შემდეგნაირად:

ა) მხედველობაში მიიღება ბანკების მიერ ბლუმბერგის სისტემის GEDR1T Crncy <GO> გვერდზე, იმავე დღის 17:00 საათიდან 18:00 საათამდე განახლებული ბანკთაშორის სესხების BID/ASK საპროცენტო განაკვეთები;

ბ) ყველა BID განაკვეთის თანმიმდევრობა განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთების ზრდის მიხედვით, რომელთაგან 2 უმცირესი და 2 უდიდესი საპროცენტო განაკვეთი არ მიიღება მხედველობაში, ხოლო დარჩენილი საპროცენტო განაკვეთებიდან გაიანგარიშება საშუალო განაკვეთი და ჩაითვლება როგორც საშუალო BID განაკვეთი;

გ) ყველა ASK განაკვეთის თანმიმდევრობა განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთების ზრდის მიხედვით, რომელთაგან 2 უმცირესი და 2 უდიდესი საპროცენტო განაკვეთი არ მიიღება მხედველობაში, ხოლო დარჩენილი განაკვეთებიდან გაიანგარიშება საშუალო განაკვეთი და ჩაითვლება როგორც საშუალო ASK განაკვეთი;

დ) საშუალო BID განაკვეთიდან და საშუალო ASK განაკვეთიდან გაიანგარიშება არითმეტიკული საშუალო მონაცემი, რომელიც არის საანგარიშო დღის TIBR განაკვეთი და ხდება მისი გამოქვეყნება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პირველი ვიცე-პრეზიდენტი/
საქართველოს ეროვნული ბანკის **ნათელა თურნავა**
პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი